



მემორანდუმი

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი),

ისწრაფვიან რა, გააძლიერონ ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის;

ადასტურებენ რა, საერთო ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებას;

აღიარებენ რა, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) განხორციელებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დიალოგსა და რეფორმებში;

იზიარებენ რა, თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების გზით ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობას;

ისწრაფვიან რა, უზრუნველყონ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების გამჭვირვალობა;

აცნობიერებენ რა, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხების შესახებ ცნობადობის ზრდის, ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საჭიროებას;

აცნობიერებენ რა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებს ევროკავშირის წევრობასთან;

იზიარებენ რა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმისმომავალ თანამშრომლობაში ჩართვის აუცილებლობას,

თანხმდებიან შემდეგზე:

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს

საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესს.

2. მხარეები გააღრმავებენ თანამშრომლობას ასოცირების შესახებ შეთანხმების 413-ე მუხლის გათვალისწინებით, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა გამართავს თემატური შეხვედრებს 6 თვეში ერთხელ;
- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადების გაზიარებას რეგისტრაციისთანავე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისთვის;
- საქართველოს ეროვნული პლატფორმა უზრუნველყოფს ეროვნული პლატფორმის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივებსა და წინადადებზე შეფასებების მომზადებას საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში განსახილველად;
- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი თავის მხრივ, კანონპროექტებს თან დაურთავს აღნიშნულ შეფასებებს.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

ხელმოწერილია ქ. თბილისში, 2016 წლის 26 თებერვალს.